

# შპს „გარდაბნის თბოსადგური“



## კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება

გარდაბნის 230მვტ თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ  
ნაწილში ორ სართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობის და მიმდებარე  
ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის პროექტირება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის  
მომზადება

CPV 71320000

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“  
საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო  
შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს  
თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

## სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება
2. ტექნიკური დავალება
3. ხელშეკრულების პროექტი
4. დანართი №1 - საკონკურსო წინადადება
5. დანართი №2 - ინფორმაცია გამომცდილების შესახებ

## 1. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს „გარდაბნის თბოსადგური“, ს/კ 404428071, აცხადებს კონკურს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია გარდაბნის 230მვტ თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ორ სართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის პროექტირება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადების საუკეთესო შეთავაზების გამოვლენა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **10,000.0** ლარს, დღგ-ს გარეშე.

### შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა), პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (დასაბუთება შესაძლებელია განხორციელდეს მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას).
  - იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;
  - პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

4. დაფინანსების წყარო: შპს „გარდაბნის თბოსადგური“-ს საკუთარი სახსრები.

## 5. კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის **19 მაისს 12:00 საათზე** მისამართზე: ქ. თბილისი, ვახეთის გზაკატეცილი 21, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციული შენობის მე-7 სართული.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**შენიშვნა:** დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და

ასლი) 2015 წლის 19 მაისის 10:00 საათიდან 11:30 საათამდე შპს „გარდაზნის თბოსადგურის“ საკონკურსო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზაკატეცილი 21, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციული შენობის მე-7 სართული.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, აგრეთვე საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე ან ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება და გაუხსნილად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

10. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

11. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) საკონკურსო წინადადება: ფასი (ლარში), დღგ-ს გარეშე (იხ. დანართი №1) ;
- ბ) გასაწევი მომსახურების (ტექნიკურ დავალებაში გათვალისწინებული) სრული აღწერა;
- გ) ინფორმაცია პროფესიულ გამოცდილებაზე: მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ., შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით (იხ. დანართი №2)

13. რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება

- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ტელ, ფაქსი, მობ.:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 1,0.

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 2 (ორ) ეგზემპლარად, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგ-ს, ხარჯთაღრიცხვები (კრებსითი, ობიექტური, ლოკალური...) აგრეთვე უნდა იყოს წარმოდგენილი Excel-ის ფორმატში.

18. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

19. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი - ნათია ბოქოლიშვილი, ტელ 555 254747, მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზაკატეცილი 21, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ადმინისტრაციული შენობის მე-7 სართული.

## 2. ტექნიკური დავალება

გარდაბნის 230მვტ თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ორ სართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის პროექტირება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადება

**ტექნიკური პირობები პროექტირებისთვის:**

1. თბოელექტროსადგურის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უნდა აშენდეს ორ სართულიანი კაპიტალური შენობა. თითოეული სართულის ფართი 200 კვ/მ.
2. შენობის პირველი სართულზე უნდა მოეწყოს სამზარეულო და სასადილო სველი წერტილებით.
3. შენობის მეორე სართულზე მოეწყოს მოსასვენებელი ოთახები კორიდორული სისტემით და ინდივიდუალური სველი წერტილებით.
4. სართულებს შორის კავშირი მოხდეს შიდა კიბით.
5. მოეწყოს წყლის, კანალიზაციის და ელ.გაყვანილობის სისტემები.
6. შენობის საკომუნიკაციო სისტემების დაერთება მოხდეს სადგურის ტერიტორიაზე არსებულ ცენტრალურ სისტემებთან.
7. გრუნტის ზედაპირი მოსწორდეს სადგურის დანარჩენი ტერიტორიის ნიშნულზე.
8. მომზადდეს ტოპოგრაფიული გეგმა.
9. ტერიტორიის გეოლოგიური კვლევის ანგარიშს წარმოადგენს დამკვეთი.
10. კომუნიკაციები განთავსდეს მიწისქვეშ, მოეწყოს ბეტონის სანიაღვრე გარე არხები (ცხაურები) და შეუერთდეს არსებულ სადრენაჟე ჭას.
11. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყოს სკვერი, გარე განათება და გამწვანება.
12. ყველა ტექნიკური საკითხი, ასევე პარამეტრები დაზუსტდეს პროექტირების დროს ადგილზე, დამკვეთთან შეთანხმებით.
13. დამკვეთთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით უნდა მომზადდეს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა.
14. პროექტირების შესრულების ვადა 20 კალენდარული დღე.
15. შემსრულებელი ვალდებულია პროექტირება შეასრულოს მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ყველა ნორმების გათვალისწინებით.

მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კორექტირება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს საექსპერტო დასკვნის მიხედვით. **შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს საექსპერტო დასკვნას მოიპოვებს შემსყიდველი საკუთარი სახსრებით.**

### 3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ქ. თბილისი

-----, 2015 წ.

ერთის მხრივ, შპს “გარდაბნის თბოსადგური” (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით, და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი ----- სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია გარდაბნის 230მვტ თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ორ სართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის პროექტირება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადების დოკუმენტაციის შედგენა, შემდეგში - “მომსახურების” გაწევა.

1.2. “მომსახურების” ჩამონათვალი, ვადები და ფასი განსაზღვრულია შემსყიდველის მიერ ჩატარებული კონკურსის N\_\_\_\_\_ პირობებით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. “შემსყიდველი” ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

2.2. “შემსყიდველი” უფლებამოსილია მოსთხოვოს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.3. “მიმწოდებელი” ვალდებულია, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;

2.4 “მიმწოდებელი” უფლებამოსილია, მოსთხოვოს “შემსყიდველს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

#### 3. “მომსახურების” გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. “მიმწოდებელი” ვალდებულია გაუწიოს “შემსყიდველს” წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული “მომსახურება” ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში;

3.2. „მომსახურების“ დასრულებისთანავე „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურების“ საერთო ღირებულება შეადგენს -----) ლარს დღგ-ს გარეშე. თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მიმწოდებელი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემთხვევაში მას აუნაზღაურდება დღგ-ს განაკვეთი -----) ლარის ოდენობით.

3.4. ანგარიშსწორების განსახორციელებლად “მიმწოდებელმა” უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იხ. წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 3.3)
- მიღება-ჩაბარების აქტი.

3.5. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების „შემსყიდველისთვის“ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

#### 4. “მომსახურების” ხარისხი

4.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“ N\_\_\_\_\_ კონკურსის მოთხოვნებს;

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

#### 5. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული „მომსახურება“ შეესაბამება ხელშეკრულების 1.2 და მე-4 მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებს.

5.1.1. იმ შემთხვევაში, თუ “მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5.1 მუხლში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისი “მომსახურების”

გაწევას „შემსყიდველს“ უფლება აქვს დააკისროს „მიმწოდებელს“ შეუსრულებელი „მომსახურების“ ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც „მიმწოდებელმა“ დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა („შემსყიდველის“ მიერ მისთვის („მიმწოდებლისთვის“)) პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან) უნდა გადაიხადოს.

5.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. არაჯეროვანი „მომსახურების“ გაწევის შედეგად „შემსყიდველისთვის“, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.

5.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.5. „მომსახურების“ გაწევის დაყოვნების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაუხადოს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე „მომსახურების“ საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

5.6. „შემსყიდველის“ მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

5.7. „მიმწოდებლის“ მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

6.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

6.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

## 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველს“ ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ „მომსახურების“ კონტროლი და/ან შეამოწმონ, სრულად არის თუ არა გაწეული „მომსახურება“.

7.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს

„შემსყიდველის“ მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

7.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისისხისა და ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

7.3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

7.3.3. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

7.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

7.5. ყოველი გამოვლენილი დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

8.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

9.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

10.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ:

ა. რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რა ვადაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.

ბ. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ. სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

10.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

11. დავების გადაწყვეტა, გამოყენებადი სამართალი

11.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

11.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

12.3 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება- მოვალეობები.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დანართი №1 - საკონკურსო განაცხადი

გარდაბნის 230მვტ თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში  
ორ სართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიაზე  
სკვერის მოწყობის პროექტირება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადება

კონკურსანტის დასახელება \_\_\_\_\_

საკონკურსო წინადადების ფასი: \_\_\_\_\_ ლარი დღგ-ს გარეშე

ამით ვადასტურებ, რომ მომსახურების გაწევას განვახორციელებ ტექნიკური დავალების შესაბამისად

ხელმოწერა ----- თარიღი -----

დანართი №2 - ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

გარდაბნის 230მვტ თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში  
ორ სართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიაზე  
სკვერის მოწყობის პროექტირება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადება

№	პროექტის დასახელება	დამკვეთი	პროექტის ღირებულება	შესრულების ვადები	დამკვეთის რეკვიზიტები